

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი,
3.02.2014

მათემატიკის დეპარტამენტის ანგარიში

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: ომარ ფურთუხია


ყველა თქვენთაგანს მინდა მივულოცო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მეორე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო ნაწილის წარმატებით დასრულება, სადაც სრულად წარმოჩინდა ჩვენ ფაკულტეტზე არსებული უაღრესად დიდი სამეცნიერო პოტენციალი და სამომავლო პერსპექტივები. მათემატიკის დეპარტამენტის უკლებლივ ყველა თანამშრომელმა გააკეთა სამეცნიერო მოხსენება კონფერენციაზე, რისი ამსახველი მასალა განთავსებულია კონფერენციის საიტზე. მოხსენებებში ასახული იყო გასულ წელს მიღებული საინტერესო და მნიშვნელოვანი შედეგები, სად იყო ეს შედეგები მოხსენებული და სად არის გამოქვეყნებული ან გადაცემული გამოსაქვეყნებლად.

მათემატიკის დეპარტამენტი შედგება 10 სტრუქტურული ერთეულისაგან: აქედან 7 არის კათედრა, 3 - სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

N	სტრუქტურული ერთეული	ხელმძღვანელი	თანამშრომელთა რაოდენობა
1	კათედრა – ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	სრ. პროფ. ე. ნადარაია	7
2	კათედრა – ალგებრა-გეომეტრია	სრ. პროფ. თ. ვეფხვაძე	6
3	კათედრა – დიფერენციალური განტოლებები	სრ. პროფ. თ. თადუმაძე	5
4	კათედრა - მათემატიკური ანალიზი	სრ. პროფ. უ. გოგინავა	11
5	კათედრა - მექანიკა	სრ. პროფ. გ. ჯაიანი	2
6	კათედრა - მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურები (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები)	სრ. პროფ. რ. ომანაძე	6
7	კათედრა - რიცხვითი ანალიზი და გამოთვლითი ტექნოლოგიები (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები)	სრ. პროფ. რ. ბოჭორიშვილი	6
8	გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორია	პროფ. ხ. რუხაია	2
9	მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორია	პროფ. თ. დავითაშვილი	3
10	უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემების ანალიზის მონათესავე საკითხების ლაბორატორია	ასისტ. პროფ. ნ. ჩინჩალაძე (საზოგადოებრივ საწყისებზე)	2

დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გასულ წელს გამოქვეყნებული იყო 55 პუბლიკაცია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში

იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციების რაოდენობა



- როგორც აღნიშნული იყო, დეპარტამენტის შიგნით ფუნქციონირებს 3 სასწავლო – სამეცნიერო ლაბორატორია, სადაც სულ 7 თანამშრომელია (აქედან ერთი საზოგადოებრივ საწყისებზე). მართალია თანამშრომელთა რაოდენობა მცირეა, მაგრამ გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ისინი აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესშიც, ატარებენ სავალდებულო დატვირთვის გარეთ ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და სხვადასხვა სახის კონსულტაციებს.
- გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის თაოსნობით ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ლოგიკა და ენა“. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები არიან სწორედ ამ ლაბორატორიის თანამშრომლები (გამგე -- ხ. რუხაია და უფროსი ლაბორანტი -- ლ. ტიბუა).
(<http://www.logic.at/tbilisi12>).

2013 წელს ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი მოიპოვეს:

(68–დან 7)

გიორგი ტეფნაძემ, მედეა ცაავამ, ალექსანდრე ლომიძემ, ბესიკ ჩიქვინიძემ, მიხეილ რუხაიამ, პეტრე ბაბილუამ, ბაკურ გულუამ და შალვა ზვიადაძემ. აღსანიშნავია, რომ ეს გრანტი ბაბილუამ და გულუამ მოიპოვეს მესამეჯერ, ზვიადაძემ მიიღო მეორე-ჯერ, ტეფნაძე არის პირველი კურსის დოქტორანი, ცაავა მომავალში გახდება დოქტორანტი, ხოლო ჩიქვინიძემ შარშან დაამთავრა დოქტორანტურა და დაიცვა სადოქტორო ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ გ.ტეფნაძემ აგრეთვე მოიპოვა საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მიერ დაწესებული გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია.

2013 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები:

2013 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მათემატიკაში რესპუბლიკის მასშტაბით დაფინანსებული 14 პროექტიდან 12 მოიპოვეს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, აქედან 6 მოდის მათემატიკის დეპარტამენტზე და დანარჩენი ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტზე და ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტზე.

საკონფერენციო გრანტების კონკურსი

მათემატიკის მიმართულებით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 4 კონფერენციიდან 2 მიპოვეს მათემატიკის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ წარდგენილმა პროექტებმა:

- საერთაშორისო კონფერენცია "ფურიეს ანალიზი და აპროქსიმაციის თეორია", მიძღვნილი აკადემიკოს ლევან ჟიჟიაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი. ხელმძღვანელი: პროფ. თ.ახობაძე;
- მეორე საერთაშორისო კონფერენცია "გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები", მიძღვნილი ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 და ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის 45 წლისთავისადმი. ხელმძღვანელი პროფ.გ.ჯაიანი

“უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის” სახელმწიფო გრანტების გამარჯვებულები პროექტები

1. 3 წლიანი; 150 000 ლარი; ხელმძღვანელი შვედეთის უმეას უნივერსიტეტის პროფესორი როსტომ გეწაძე; (2012–2015)
2. 3 წლიანი; 150 000 ლარი; ხელმძღვანელი სანფრანცისკოს უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ გუბელაძე; (2012–2015)
3. 2 წლიანი; 100 000 ლარი; ხელმძღვანელი ამერიკის მისურის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ წიკლაური; (2012–2014)
4. გასულ წელს დასრულდა და წელს განმეორებით დაფინანსდა პროექტი, რომლის ხელმძღვანელია ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი, ფიზ.მათ მეცნ.დოქტორი ამირან გოგატიშვილი. აღსანიშნავია რომ ყველა ამ პროექტში ჩართულები არიან ჩვენი დეპარტამენტის სტუდენტები.

2013 წელს გარდამავალი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტები:

გარდა ამისა, გასული წლის განმავლობაში გრძელდებოდა ან დასრულდა დეპარტამენტის თანამშრომელთა მონაწილეობით 9 საერთაშორისო და 18 ადგილობრივი სამეცნიერო გრანტი, რომელთა ჯამურმა დაფინანსებამ შეადგინა შესაბამისად დაახლოებით 4 800 000 ლარი და 1 700 000 ლარი. თანხებში ეს დისპროპორცია აიხსნება იმით, რომ საერთაშორისო გრანტებში შედის ევროკავშირის და იტალიის გრანტები საკმაოდ დიდი ბიუჯეტებით, მაგრამ სამწუხაროდ ამ გრანტებში მონაწილე პროფესორებს: უ.გოგინავას, გ.ჯაიანს, რ.გრიგოლიას და სხვებს აქედან მხოლოდ სამივლინებო თანხების მიღება შეუძლიათ, ხოლო ეროვნული გრანტების მაქსიმალური ბიუჯეტი კი მხოლოდ 150000-ია.


დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარი

- ტრადიციულად მუშაობდა მათემატიკის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი პროფ. ელიზბარ ნადარაიას ხელმძღვანელობით, სადაც წლის განმავლობაში თავისი სამეცნიერო შედეგების შესახებ მოხსენებით წარდგება დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი. გარდა ამისა, აქვე ხდება სადოქტორო დიერტაციების წინასწარი განხილვა.
- ამავე სემინარზე შარშან მოხსენებებით წარსდგნენ მოწვეული უცხოელი პროფესორები: კ.ნაგი (უნგრეთი), ი. ბლაჰოტა (უნგრეთი), რ.ტოლედო (უნგრეთი).
- მუშაობას აგრძელებდა სტუდენტთა საქალაქო სემინარი: „შესავალი სტოქასტურ მოდელირებაში“ (თანახელმძღვანელი ო.ფურთუხია). ძირითადი მომხსენებლები იყვნენ პროფესორები მ.შაშიაშვილი და მ.მანია.

მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი

- შარშან მათემატიკის დეპარტამენტში ორმა დოქტორანტმა კერძოდ, შალვა ზვიადაძემ და ბესიკ ჩიქვინიძემ დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა თსუ მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი.
- იმავედროულად, ბესიკ ჩიქვინიძის თანაკურსელმა, ბონის ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტმა, ირაკლი პაჭკორიამ დაიცვა სადოქტორო ხარისხი და ამჟამად მიიღო ე.წ. „პოსტ დოკი“ (**Post doctoral researcher position**) კოპენჰაგენის უნივერსიტეტში. როგორც ვხედავთ, მეცნიერებაში წარმატება ბონსა და თბილისში ერთიდაიგივე დროშია შესაძლებელი, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი ახალგაზრდების თსუ-ში დასაქმების პერსპექტივები ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

სახელობითი სტიპენდია



- 2007 წლიდან ახალი ზელანდიის ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის პროფესორმა ესტატე ხმლაძემ დააწესა თავისივე სახელობის სტიპენდია მათემატიკისა და ფიზიკის დეპარტამენტის გარკვეული პროფილის წარჩინებული მაგისტრანტებისათვის. 2013 წელს აღნიშნული სტიპენდია გადაეცათ მათემატიკის დეპარტამენტის მაგისტრანტს გიორგი ტეფნაძეს (მეორეჯერ) და ფიზიკის დეპარტამენტის მაგისტრანტს გიორგი ტუხაშვილს.
- აღსანიშნავია, რომ გასულ წელს თსუ სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენაში საზღვარგარეთ, უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და ახალგაზრდების სამეცნიერო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, პროფესორ ესტატე ხმლაძეს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

საერთაშორისო ერთობლივი ოლიმპიადა

ისრაელის არიელის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც 2007 წლიდან დაწყებული რეგულარულად ტარდება ონლაინ ოლიმპიადა მათემატიკაში, რომელსაც ქართული მხრიდან ხელმძღვანელობენ ჩვენი დეპარტამენტის პროფესორები რომან კოპლატაძე და თამაზ თადუმაძე, ხოლო ისრაელის მხრიდან მათემატიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ალექსანდრ დომუშნიცკი. ეს ოლიმპიადა ტარდება ორ ტურად. პირველი ტური ტარდება საქართველოში და მასში გამარჯვებულები მონაწილეობენ მეორე ტურში, რომელიც უკვე ისრაელში ტარდება. როგორც წესი, ისრაელში პირველ ტურში გამარჯვებულ სტუდენტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს პროფ. რომან კოპლატაძე. ამ პერიოდში დეპარტამენტის სტუდენტებს მოპოვებული აქვთ არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი და მრავალი საპატიო სიგელი როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ შეჯიბრებებში. კონკრეტულად, 2013 წელს, ჩვენი დეპარტამენტის სტუდენტებიდან გამოვლინდა 4 გამარჯვებული: 1 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედლით.

საერთაშორისო თანამშრომლობა

- დეპარტამენტის ბაზაზე მოქმედებს საერთო სადოქტორო პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის გოტინგენის უნივერსიტეტებს შორის.
- ამჟამად ამ პროგრამაზე ორი დოქტორანტია: გიორგი ნა–დარეიშვილი და მაია სვანაძე. დოქტორანტი მაია სვანაძე გახდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებ–ის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული და ის იყო რეი–ტინგით პირველი, სხვა 100 ქულიანი არავინ ყოფილა.
- გაფორმებულია კულტურული და სამეცნიერო საერთა–შორისო ურთიერთობათა ხელშეკრულება სალერნოს უნ–ივერსიტეტსა (იტალია) და თსუ (საქართველო) შორის. შარშან საქართველოში იმყოფებოდა სალერნოს უნივერ–სიტეტის დელეგაცია მათემატიკის, ფიზიკისა და საბუნე–ბისმეტყველო მეცნიერებების დეკანის მარია ტრანზირი–კოსა და მათემატიკის დეპარტამენტის დირექტორის

საერთაშორისო თანამშრომლობა

ანტონიო ლინოლას ხელმძღვანელობით და შეიქმნა ერთობლივი საერთაშორისო ლაბორატორია მათემატიკურ მოდელირებაში: „საერთაშორისო სემინარი მათემატიკურ მოდელირებაში“, სადაც ჩვენი მხარე წარმოდგენილია მათემატიკოსებით, ხოლო იტალიის მხარე კი ბიოლოგებითა და მედიკებით. საპასუხო ვიზიტი იტალიაში დაგეგმილია თებერვლის ბოლოს, სადაც ჩატარდება: **“First Salerno-Tbilisi Workshop On Modeling in Mathematics”**, Salerno, February 24-26, 2014. ქართული მხარე წარმოდგენილი იქნება ჩვენი დეპარტამენტის შემდეგი პროფესორებით: რ.ბოჭორიშვილი, რ.გრიგოლია, თ.თადუმაძე, ო.ლონტი, ი.თავხელიძე და რ.კოპლატაძე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტის განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პროფ. რ. გრიგოლიას.

- დაიგეგმა თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ტრინიტი კოლეჯთან (ირლანდია).
- პროფ. თ.თადუმაძემ, წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის საერთაშორისო ცენტრისა (ე.წ. CIMPA) და საფრანგეთის საელჩოს დაფინანსებით მიიღო მიწვევა ლექციების კურსის წასაკითხად ერაცში.

საერთაშორისო თანამშრომლობა

- პროფ. ჯ.როგავა მიწვეული იყო მკვლევარ–პროფესორის პოზიციასზე მისურის (აშშ) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში;
- პროფ. უ.გოგინავა ევროკავშირის გრანტის ფარგლებში იმყოფებოდა უნგრეთსა და ვენაში ;
- პროფ. რ.კოპლატაძე მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად არიელისა და ბარელანის უნივერსიტეტებში (ისრაელი);
- პროფ. ი.თავხელიძეს ჰქონდა საერთო სემინარი ბელგიელ მეცნიერ ჯელისთან და ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორ ვილი თარგამაძესთან ერთად;
- ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს მუშაობას ემერიტუს–პროფესორი თ.ვაშაყმაძე. შარშან, სხვა თანაავტორებთან ერთად, მან გააკეთა სამი მოხსენება რიცხვით ანალიზსა და გამოყენებით მათემატიკაში მე–11 საერთაშორისო კონფერენციასზე, რომელიც ჩატარდა როდოსში (საბერძნეთი);
- პროფ. რ.ბოჭორიშვილი თავის ორ სტუდენტთან (ნ.ნებულიშვილი და თ.ჯანელიძე) ერთად მიწვეული იყო მკვლევარ–პროფესორის პოზიციასზე იულისის კვლევით ცენტრში (გფრ).

სწავლების ახალი მეთოდი

2011 წლიდან პროფ. რ. ბოჭორიშვილის ინიციატივით მათემატიკის დეპარტამენტში დაინერგა სწავლის შედეგის მიღწევის ახალი მეთოდი: „პროექტი“.

მე-5 სემესტრიდან ყოველ მომდევნო სემესტრში მოწინავე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აიღონ 5 კრედიტიანი პროექტი (სულ არაუმეტეს 20 კრედიტის მოცულობით), რომელიც გულისხმობს პროფესორის სტუდენტთან ინდივიდუალურ მუშაობას პროფესორის მიერ გამოცხადებული თემის ირგვლივ, წინასწარ შედგენილი სილაბუსით, ყოველკვირეული შეხვედრების გარეშით და შეფასების სქემებით, კერძოდ სემესტრში 1 კოლოკვიუმი და საბოლოო გამოცდა პრეზენტაციის სახით კომისიის წინაშე.

მეცნიერების პოპულარიზაცია, ვიქტორინა

- საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში პროფ. ილია თავხელიძემ წაიკითხა 3 ლექცია.
- ტრადიციად იქცა რესპუბლიკის სკოლების მონაწილეობით ვიქტორინის ჩატარება სამ ტურად ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში.

ჩვენი დეპარტამენტიდან ვიქტორინის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობს პროფ. თ. კოპალიანი. ძალიან დიდია ინტერესი სკოლების მხრიდან. პროფ. კოპალიანის აზრით აქ არის საკმაოდ დიდი რეზერვი მოსწავლეების მოსაზიდად ჩვენს ფაკულტეტზე და, შესაბამისად ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. მოსაფიქრებელია მოქნილი სქემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს რომ სკოლებმა დააკომპლექტონ თავიანთი გუნდები მომავალ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ამისათვის ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია ჩვენი წარმატებული სტუდენტების გამოყენება საკუთარი სკოლების გუნდის ჩამოყალიბების პროცესში.

ურთიერთობა სკოლასთან

- 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გაიმარჯვა ორმა პროექტმა: 1) „მოსწავლეების თავისუფალი დროის განაწილების კვლევა მათემატიკურ–სტატისტიკური მეთოდებით“ (ხელმ. გ.სოხაძე) და 2) „გარემოს ნავთობპროდუქტებით შესაძლო გაბინძურების რისკის შეფასება საქართველოს სატრანსპორტო კორიდორის გასწვრივ“ (ხელ. თ.დავითაშვილი);
- აკრედიტირებულია მათემატიკის დეპარტამენტში მომზადებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები: „ინოვაციური საკითხები მათემატიკის პროგრამაში (პროფესიული ცოდნა სასკოლო რეფორმის კონტექსტში)“ (ხელმ. გ.სოხაძე) და „მათემატიკა (პროფესიული ცოდნა)“ (ხელმ. თ.ვეფხვაძე).
- პარალელურად დეპარტამენტის თანამშრომლები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მასწავლებლის სახლის ეგიდით ჩატარებულ საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ყველა ტრენინგ–კურსის (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი) მუშაობაში თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ტრენერების რანგში.

კონფერენციები და საიუბილეო ღონისძიებები

- საერთაშორისო კონფერენცია "ფურციეს ანალიზი და აპროქსიმაციის თეორია", მიძღვნილი აკადემიკოს ლევან ჟიჟიაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი. მონაწილეობდა 15 ქვეყნის 50 მეცნიერი.




კონფერენციები და საიუბილეო ღონისძიებები

- მეორე საერთაშორისო კონფერენცია "გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები", მიძღვნილი ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 95 და ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის 45 წლისთავისადმი. კონფერენციაზე შესაბამისი სექციების მუშაობა მიეძღვნა პროფ. ლევან მაღნარაძის დაბადებიდან 100 და პროფ. გვანჯი მანიას დაბადებიდან 95 წლის საიუბილეო თარიღებს.



კონფერენციები და საიუბილეო ღონისძიებები

აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის დაბადებიდან 110 წლის–
თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია.



სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

ფაკულტეტის დეკანის, ბატონ რამაზ ბოჭორიშვილის ინიციატივითა და უდიდესი ძალისხმევით მომზადებულ იქნა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი მათემატიკაში – „მათემატიკა“. გასულ წელს გამოვიდა მისი პირველი ნომერი. ამჟამად გამოსაცემად მზად არის მეორე ნომერი. მისი რედაქტორი გახლავთ პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე.

ჩვენი კურსდამთავრებულები

მსოფლიოში აღიარებული ქართული მათემატიკური სკოლის თითქმის ყველა წარმომადგენელმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. ამჟამად ჩვენი მათემატიკოსი თანამემუღლები მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტებსა და მათემატიკურ ცენტრებში მუშაობენ. მაგ. აშშ-ში, ინგლისში, სამხრეთ აფრიკაში, ახალ ზელანდიაში, შვედეთში, ჩეხეთში, ჰოლანდიაში და სხვა. მათ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი უნარები შეიძინეს ჩვენს უნივერსიტეტში, რადგან აქ ყოველთვის მაღალ დონეზე იკითხებოდა სასწავლო კურსები, მოქმედებდა სასწავლო-სამეცნიერო სემინარები და მიმდინარეობდა აქტიური სამეცნიერო მუშაობა. ეს ტრადიცია ამჟამად კიდევ უფრო ღრმავდება, რისი დადასტურებაც ჩვენი დეპარტამენტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების მიერ, ბოლო წლებში, მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები. ჩვენი ყოფილი სტუდენტებიდან ნაწილი წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილი კი ჩვენი პროფესორების მიერ გაწეული რეკომენდაციის შედეგად, სწავლას აგრძელებს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ უნივერსიტეტში. ქვემოთ მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანის არასრულ სიას:

ჩვენი კურსდამთავრებულები

მიხეილ რუხაია – ვენის ტექნიკურ უნივერსიტეტის დოქტორანტი, ირაკლი პაჭკორია – ბონის ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური დოქტორი, ამჟამად აქვს ე.წ. „პოსტ დოკი“ (Post doctoral researcher position) კოპენჰაგენის უნივერსიტეტში, მაია სვანაძე – გეორგ აუგუსტის გოტინგენის უნივერსიტეტის დოქტორანტი, სალომე ბასლანძე – პენსილვანიის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ქეთევან ჩხაიძე – ლონდონის იმპერიალ კოლეჯის მაგისტრანტი, ზურაბ აბრამიშვილი – ჩეხეთის კარლოვის უნივერსიტეტის დოქტორანტი, გიორგი ნადარეიშვილი – გეორგ აუგუსტის გოტინგენის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ირაკლი ჩიტაია – სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დოქტორანტი, გიორგი ჭკადუა – ლონდონის სამეფო კოლეჯის დოქტორანტი, მიხეილ ნადარეიშვილი – ოქსფორდის უნივერსიტეტის მაგისტრი, დავით ცირეკიძე – სტენფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ჩვენი კურსდამთავრებულები

ტრადიცია არც შარშან დარღვეულა და კურსდამთავრებულების წარმატებულმა ნაწილმა უკვე მიიღო მოწვევა მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცენტრებიდან. კერძოდ, ბექა ერგემლიძე და ნიკა სალია – სწავლას აგრძელებენ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი), გიორგი ტეფნაძე – შვედეთის ლუკლუას ტექნიკურ უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, მარიამ ნადარეიშვილი – ლონდონის იმპერიალ კოლეჯში, ანა ნუსხელაძე – სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტში, ლევან ვარამაშვილი – მუშაობს გუგლში (Software Engineer) და სხვა.

**მადლობა
ყურადღებისთვის!**